## ღონისძიების აღწერილობა

პაშა ბანკი საქართველო აწყობს წლის შემაჯამებელ ღონისძიებას კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის.
ღონისძიება მიზნად ისახავს ბანკის მიერ 2024 წლის შეჯამებას და მოწვეულ აუდიტორიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავებას.

## ღონისძიების დეტალები

- ლოკაცია: თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრი ან ზურაბ წერეთლის თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი;
- თარიღი: დეკემბრის შუა რიცხვები (დავაზუსტებთ მოგვიანებით);
- დრო: 20:00 საათი;
- აუდიტორია: პაშა ბანკის კლიენტები და პარტნიორები;
- სტუმრების რაოდენობა: 150-200;

## პროგრამა - თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრი:

**I ნაწილი - სტუმრების მიღება - 40 - 45 წუთი**

**აღწერა:** ლოკაციის შესაბამისი ელეგანტური და კლასიკური დეკორაცია. სასიამოვნო, ამაღლებული გარემოს შექმნა სტუმრებისათვის, სადაც ცოცხალი კლასიკური მუსიკის ფონზე ისაუბრებენ და მიირმეთმევენ ე.წ. “Welcome drinks” და კანაპეებს.

**II ნაწილი - საკონცერტო დარბაზი - 45 წუთი**

**აღწერა:** სტუმრების მიწვევა საკონცერტო დარბაზში, სადაც გაიმართება ცოცხალი კლასიკური კონცერტი თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრის ორკესტრის შესრულებით.

- **მისალმება:** პაშა ბანკის წარმომადგენელი სიტყვით მიმართავს აუდიტორიას - 10 წუთი
- **კონცერტი** - 30 წუთი

**III ნაწილი - ფურშეტი (კონცერტის შემდგომი მიღება)**

**აღწერა:** კონცერტის შემდეგ, სტუმრებს მიწვევა იგივე დარბაზში, სადაც დახვდებათ ფურშეტი, ე.წ. “Buffet style” და ცოცხალი მუსიკა.

## პროგრამა - ზურაბ წერეთლის თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი:

**I ნაწილი - სტუმრების მიღება - 45 წუთი**

**აღწერა:** ლოკაციის დეკორაცია.
სასიამოვნო, ამაღლებული გარემოს შექმნა სტუმრებისათვის, სადაც ცოცხალი მუსიკალური შესრულების ფონზე ისაუბრებენ და მიირმეთმევენ ე.წ. “Welcome drinks” და კანაპეებს. (რომელიც მიმდინარეობს უწყვეტად გარდა პაშა ბანკის წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას და “პრინტ ფესტივალის” ოფიციალური გახსნისას)

- **მისალმება:** პაშა ბანკის წარმომადგენელი სიტყვით მიმართავს აუდიტორიას და შემდგომ მიიწვევს სტუმრებს გამოფენის დასათვალიერებლად.

**II ნაწილი - ე.წ. ART WALK**

**აღწერა:** “პრინტ ფესტივალის” ფარგლებში თანამედროვე არტისტების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, რომელასც წელს პირველად პაშა ბანკი გახსნის თავისი აუდოტორიისთვის.

გამოფენას დაესწრებიან თავად არტისტები(რამოდენიმე) და დამთვალიერებლების ინტერესიდან გამომდინარე გაეცნობიან და გაესაუბრიან.

გამოფენა დახურული იქნება პაშა ბანკის წარმომადგენლის სიტყვის გამოსვლამდე.

**III ნაწილი - საჩუქრების გადაცემა**

**აღწერა:** თანამედროვე ქართველი არტისტის მიერ შექმნილი ნამუშევრების გადაცემა მოწვეული კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის, რომელიც სპეციალურად მათთვის შეიქმნა საახალწლო საჩუქრად.

- **საჭიროა:** სპეციალური სივრცის შექმნა, სადაც გამოიფინება ნამუშევრები.

## მოთხოვნები ღონისძიების ორგანიზატორ კომპანიისთვის

1. **ქეითერინგის მომსახურება**
    - მაღალი ხარისხის კერძები და სასმელები(გასათვალისწინებელია რომ ცხელი კერძები და წითელი ღვინო არ დაიშვება მითითებულ ლოკაციებზე)
    - ფურშეტის სივრცისთვის დეკორაციის წარდგენა და ორგანიზება, რომელიც შეესაბამება ლოკაციას.

2. **ლოკაციის დეკორაცია და ლოჯისტიკა**
    - ლოკაციის მთლიანი სივრცისთვის შესაბამისი ვიზუალის  დეკორაციის წარდგენა და შექმნა, რომელიც უნდა იყოს თანხვედრაში თემატურად ლოკაციასთან.
    - დეკორაციების  მონტაჟი/დემონტაჟი
    - მოსაწვევის დიზაინი
    - ოპერის და ბალეტის თეატრისთვის მუსიკალური პროგრამის დიზაინი და ბეჭდვა.
    - პრომო გოგოები/ბიჭები, რომლებიც საჭირო იქნებიან ღონისძიების სხვადახვა ლოკაციაზე.

3. **მუსიკალური გაფორმება, სცენა, გახმოვანება და განათება**

    - ღონისძიებისთვის საჭირო გახმოვანების და განათების უზრუნველყოფა

      (ზურაბ წერეთლის თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისთვის, და თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრის მიღების ზონებისთვის, საკონცერტო დარბაზში არ საჭიროებს)

    - ცოცხალი მუსიკალური გაფორმების იდეები ღონისძიებისთვის (გარდა ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრისა, რომელიც ოფიციალური ნაწილია ღონისძიების)

    - პოდიუმი/სცენა  პაშა ბანკის წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისთვის, ზურაბ წერეთლის თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში.

4. **ბიუჯეტი**

   გთხოვთ, მოამზადოთ ბიუჯეტის დეტალური ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ღონისძიების ყველა მომსახურებას და ვარიანტს.

    - გაითვლისწინეთ, რომ პაშა ბანკი თავად უზრუნველყოფს ორივე ლოკაციის იჯარას, მათ შორის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში ორკესტრის და დირიჟორის ბიუჯეტს, ასევე ზურაბ წერეთლის თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის იჯარას და პრინტ ფესტივალის გახნას.

5. **თხოვნა:** გთხოვთ, დაინტერესების შემთხვევაში წარმოგვიდგინეთ პრეზენტაცია, შესაბმისს ფორმატში.

6. **სასურველია**: პრეზენტაცია მოამზადოთ ორივე ლოკაციისთვის, ან შემოგვთავაზოთ ოპერისა და ბალეტის თეატრის ალტერნატივა(იგივე კონცეფციით)

7. **გასათვალისწინებელია:** გთხოვთ, გაითვალისწინეთ ღონისძიების ყველა აუცილებელი ატრიბუტი საჭირო ნიუანსი: მიღების სივრცისთვის, ღონისძიების მთავარი ნაწილისთვის და დასასრულისთვის.

**საკონტაქტო ინფორმაცია**

**ღონისძიების კოორდინატორი:** თამარ მილორავა
**ელ. ფოსტა:** t.milorava@pashabank.ge
**ტელეფონი:** 599197960

მოუთმენლად ველით თქვენს გუნდთან თანამშრომლობას, რათა შევქმნათ დაუვიწყარი ღონისძიება პაშა ბანკი საქართველოს კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის.

მადლობა!